შპს. ნეოპრინტი NEO PRINT LTD. NEOPRINT

მისამართი: საქართველო, თბილისი, ყაზბეგის გამზ. 44ª;
მცხეთის რაიონი, სოფელი წეროვანი
ტელ: +995 32 2 52 90 22, 2 52 86 92, 2 53 02 91, 2 72 58 45;
მაგთი ფიქსი: +995 8 7 90 10 71 11; ფაქსი: +995 32 2 52 90 22;
ელ-ფოსტა: neoprint@caucasus.net

Address: 44ª Kazbegi Ave, Tbilisi, Georgia;
Mtskheta Region, Village Tserovani;
Tel.: +995 32 2 52 90 22, 2 52 86 92, 2 53 02 91, 2 72 58 45;
Magty Fix: +995 8 7 90 10 71 11; Fax: +995 2 32 52 90 22;
E-mail: neoprint@caucasus.net

„25" ივლისი 2023 წ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს

ვასილ გედევანიშვილს

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
„30" 08 2023 წ.
№ 8329

ბატონო ვასილ,

გაცნობებთ, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანში შპს „ნეოპრინტი"-ს ქაღალდის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს (ნარჩენების აღდგენა) ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 18 მაისის N2-692 ბრძანების შესაბამისად გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შემდეგ, საწარმოში განთავსდა ახალი ტექნოლოგიური დანადგარები, რომელზეც, საწარმოში მიღებული ქაღალდის საშუალებით მზადდება: ბრენდირებული ყუთები ბოთლებისთვის; ქაღალდის კუთხეები; მუყაოს სატიხრე კედლები. აღნიშნულთან დაკავშირებით, საწარმომ გაიარა სკრინინგის პროცედურა და 2023 წლის 29 მაისს გაიცა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის ბრძანება („მცხეთის მუნიციპალიტეტში შპს „ნეოპრინტის" ქაღალდის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს (ნარჩენების აღდგენა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ"). აღნიშნული ბრძანების პირველი პუნქტის მიხედვით, საქმიანობა არ დაექვემდებარა გზშ-ს პროცედურას.

სკრინინგის პროცედურის გავლის შემდეგ, საწარმოში კვლავ დაიგეგმა ახალი ცვლილება, კერძოდ, 2021 წლის გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში საწვავად გამოიყენება მხოლოდ ბუნებრივი აირი. დაგეგმილი ცვლილების ფარგლებში, საწარმოში განთავსებულ ერთ-ერთ დანადგარზე, საწვავად გათვალისწინებულია მეორედი გაფილტრული ზეთის გამოყენება. ასევე, საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე, კომპანიის მიერ დაგეგმილია არსებულ საწარმო ფართში განათავსონ

და ექსპლუატაციაში ჩართონ ქაღალდის საკვეთი დანადგარი; ქაღალდის ლამინაციის და ქაღალდის ერთმანეთთან შეწებებისთვის წებოს დანადგარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, მომზადდა სკრინინგის ანგარიში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად, სკრინინგის პროცედურის გავლის მიზნით, წარმოგიდგენთ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადებას და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი:

1. შპს „ნეოპრინტი"-ს ქაღალდის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს (ნარჩენების აღდგენა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია (PDF)
2. SHP ფაილები

პატივისცემით,

შპს „ნეოპრინტი"-ს დირექტორი: /ნათია ჯინჭარაძე/

25,08,2023წ